



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:

ლელა მაისურაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192

სახე:

☒ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 30/05/2025 წლის N 503576 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება.

ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 ივნისს;

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.



III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ წარმატებული პრაქტიკა

პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მიზნობრივად ამზადებს კონკურენტუნარიან პროფესიონალებს. სასწავლო პროცესში მიღებული შედეგები აღსანიშნავია როგორც პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა პროფესიული წინსვლით, ისე მათი შემოქმედებითი პროექტებით.

2020 წლის მიღების პროფესიულმა სტუდენტმა, რომელიც ჩარიცხვამდე არ ფლობდა გრაფიკულ პროგრამებთან მუშაობის უნარს, წარმატებით შეასრულა ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის 1000 წლისთავთან დაკავშირებული გამოცემის დიზაინისა და დაკაზადონების სამუშაოები. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ხოლო სტუდენტმა მადლობის წერილი მიიღო საპატრიარქოს ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრისგან.

2022 წლის მიღების პროფესიული სტუდენტი დასაქმდა უნივერსიტეტის მარკეტინგისა და კომუნიკაციების ცენტრში დიზაინერ-ასისტენტად და ამავდროულად, მასთან გაფორმდა ხელშეკრულება „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული პროგრამის მოდულების განსახორციელებლად

აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება ეფექტიანია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწრაფ პროფესიულ განვითარებასა და შრომის ბაზარზე რეალურ ინტეგრაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	№01-05-04/38, 18.03.2025წ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. 68, სტუ-ს I კორპუსი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - მეცნიერების, განათლების, კულტურის უდიდესი ტრადიციების კერის, მისიაა მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა შესაძლოა დაეფუძნოს შემდეგ გარემოებებს: არსებობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ სტუ-ს მიერ ჩატარებული კვლევა, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/ დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.); უნივერსიტეტი აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი საქმიანობის ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში; პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან; სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად ახალი პროგრამის შემუშავებისათვის.

დაწესებულებამ აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტების ცხრილი, რომლის ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა შემდეგი:

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან:

საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - მეცნიერების, განათლების, კულტურის უდიდესი ტრადიციების კერის, მისიაა მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან, რათა მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომელთა სწრაფვა ხარისხისაკენ და მუდმივი მიება პროცესების გაუმჯობესებისათვის, წარმოადგენს მთავარ პრინციპს. დაწესებულების სტრატეგიაში გათვალისწინებულია პროგრამების სპექტრის გაფართოება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა.

პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ მიზნები, ისე როგორც უნივერსიტეტის, მისი საქმიანობის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, არის მიღწევადი, დროში გაწერილი და მათი განხორციელების შედეგები გაზომვადია.

პსდ-ს სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ადასტურებს, რომ გრაფიკული დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამყარებულია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და ტექნოლოგიური ტენდენციების ანალიზზე. დასაბუთებაში ასახულია როგორც ფაქტობრივი, ისე პროგნოზირებადი მოთხოვნა გრაფიკული დიზაინის კვალიფიციურ სპეციალისტებზე. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის, რომ ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა და რეკლამის სფეროების სწრაფმა განვითარებამ შექმნა საგრძნობი საჭიროება გრაფიკული და მულტიმედიური დიზაინის უნარების მქონე კადრების მიმართ.



საქართველოს მთავრობა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აღიარებს შრომის ბაზრის გამოწვევების გადაჭრის საჭიროებას, აღნიშნულ კონტექსტში გრაფიკული დიზაინის პროგრამა პოზიციონირდება, როგორც შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებზე პასუხის გამცემი. აღწერილია პროგრამის შინაარსის პრაქტიკული მნიშვნელობა შემდეგ სფეროებში:

- კორპორატიული სარეკლამო დიზაინი (ბრენდინგი, ლოგოები, შეფუთვა, გარე რეკლამა)
- საგამომცემლო დიზაინი (წიგნები, ჟურნალები, ფლაერები)
- მულტიმედიური და ინტერნეტდიზაინი
- სოციალური მედიის კონტენტისა და სარეკლამო მასალების შექმნა

აღნიშნული ასპექტები ხაზს უსვამს, რომ პროგრამის ბენეფიციარებს ექნებათ ფართო შრომითი ბაზრის ათვისების შესაძლებლობა, რაც ზრდის პროგრამის პრაქტიკულ და ეკონომიკურ ღირებულებას.

ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

გრაფიკული დიზაინის კონცეპტუალური საფუძველი ჯერ კიდევ კაცობრიობის ადრეული პერიოდებიდან იღებს სათავეს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „გრაფიკული დიზაინი“ პირველად 1922 წელს უილიამ ედისონ დუიგინსმა შემოიტანა, ამ პროფესიის ელემენტები ისტორიულად გვხვდება ლასკოს გამოქვაბულის ფერწერაში, ძველი ბაბილონის ლურსმულ წარწერებში, ეგვიპტის იეროგლიფებსა და შუა საუკუნეების ილუმინირებულ ხელნაწერებში. აღნიშნული მასალები არა მხოლოდ ესთეტიკური ღირებულების მატარებელია, არამედ ისინი ინფორმაციის გადაცემის ადრეული ფორმების სახით გვევლინება, რაც ვიზუალური კომუნიკაციის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

თანამედროვე ეტაპზე გრაფიკული დიზაინი მეტწილად ასოცირდება ციფრულ ტექნოლოგიებთან და კომპიუტერულ პროგრამებზე დაფუძნებულ პროდუქტებთან, რომლებიც ვიზუალური ინფორმაციის ეფექტური გადაცემის უმთავრეს საშუალებად გვევლინება. გრაფიკულ დიზაინში შერწყმულია როგორც ესთეტიკური, ისე ფუნქციური კომპონენტები. დიზაინერის ამოცანაა რთული კონცეპტუალური იდეების ვიზუალურ ფორმაში გადმოტანა ისე, რომ შინაარსი ადვილად აღსაქმელი, მახსოვრობადი და ემოციურად დამაჯერებელი იყოს. შესაბამისად, ვიზუალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ და ბიზნეს გარემოში ეფექტური ურთიერთგაგების უზრუნველყოფაში.

საქართველოში გრაფიკული დიზაინის სფეროში მზარდია მოთხოვნა როგორც მომსახურებაზე, ისე პროფესიონალურ ხარისხზე. ადგილობრივი დამკვეთები სულ უფრო მეტად ისწრაფვიან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციისკენ, რაც თავის მხრივ ამაღლებს მოთხოვნას კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე. აღნიშნული ტენდენცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების როლს უსვამს ხაზს, რომლებიც წარმოადგენენ პროფესიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების განვითარების მნიშვნელოვან წყაროს.

გრაფიკული დიზაინის პროფესიული განათლების პროგრამების კურსდამთავრებულები აღჭურვილნი არიან იმ თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით, რაც აუცილებელია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაციისთვის. მათ შეუძლიათ გრაფიკული გამოსახულებით გადმოსცენ კომპლექსური იდეები, შექმნან კომუნიკაციური კონცეფციები და შეიმუშაონ ვიზუალური მასალა, რომელიც არა მხოლოდ ინფორმირებას, არამედ ემოციურ ზემოქმედებასაც ახდენს მომხმარებელზე.



გარდა ესთეტიკური და ტექნიკური უნარებისა, გრაფიკული დიზაინის პროფესია მოითხოვს კრეატიულობას, სტრატეგიულ აზროვნებას და ტექნოლოგიური პლატფორმების სრულფასოვან ფლობას. შესაბამისად, გრაფიკული დიზაინერი არ არის მხოლოდ მხატვარი, არამედ კომუნიკაციის არქიტექტორი, რომელიც იყენებს ფორმას, ფერს, კომპოზიციას და ტექნოლოგიას ინფორმაციის ზუსტი და ეფექტური გადაცემისთვის.

შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე/პოზიციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური პროგრესის ტემპმა მნიშვნელოვნად შეცვალა შრომის ბაზარი. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ სრულიად გარდაქმნა დიზაინის ინდუსტრია — მექანიკური ხატვისა და ხელით შესრულებული ილუსტრაციების ნაცვლად დღეს გამოიყენება პროფესიონალური პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ამ პროცესს უფრო სწრაფსა და ეფექტურს ხდის. ამ ცვლილებებმა გრაფიკული დიზაინი გახადა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნი პროფესია როგორც ტექნოლოგიურ, ასევე კრეატიულ სექტორში.

შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მიხედვით, გრაფიკული დიზაინი ითვლება ინფორმაციის გადაცემის უნივერსალურ საშუალებად — შრიფტების, ტექსტის, ილუსტრაციების, ანიმაციისა და ვიდეოკონტენტის გამოყენებით. გრაფიკული დიზაინი გამოიყენება ბრენდინგში, მარკეტინგში, რეკლამასა და მომხმარებელთან კომუნიკაციაში — მის როლს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ბიზნესის წარმატებაში. ის ვრცელდება საგზაო ნიშნებიდან და ტექნიკურ დიაგრამებამდე, კორპორატიული დოკუმენტებიდან საცნობარო სახელმძღვანელოებამდე. დიზაინი ხელს უწყობს პროდუქტის ან იდეის წარმატებით წარმოჩენასა და გაყიდვას, განსაკუთრებით ბრენდის იდენტობის ელემენტების (ლოგო, შეფუთვა, ფერები, ფონტები და სხვ.) მეშვეობით.

გრაფიკული დიზაინერები ქმნიან ვიზუალურ კონცეფციებს კომპიუტერული პროგრამების დახმარებით, რაც შესაძლებლობას აძლევთ ორგანიზაციებს, მომხმარებელზე მორგებული, ეფექტური და მახსოვარი კომუნიკაცია განახორციელონ. დიზაინერების სერვისებზე მოთხოვნა განპირობებულია ქვედა დინების ბაზრების განვითარებით — როგორცაა სამომხმარებლო საქონლის წარმოება და რეკლამა.

დასაქმების ტენდენციები და გლობალური სტატისტიკა

აშშ-ის შრომის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, გრაფიკული დიზაინერების საშუალო წლიური ანაზღაურება შეადგენს 58,910 აშშ დოლარს, ხოლო დასაქმების ტენდენცია სავარაუდოდ გაიზრდება 3–4%-ით 2021–2031 წლების განმავლობაში.

გლობალურად, გრაფიკული დიზაინერის წლიური შემოსავალი, გამოცდილების შესაბამისად, მერყეობს 40,000-დან 60,000 დოლარამდე.

ამასთანავე, ევროკავშირის ქვეყნებში ფუნქციონირებს დაახლოებით 80,000 სტამბა, სადაც დასაქმებულია 960,000 ადამიანი, რომელთა 85% მუშაობს მცირე (<20 თანამშრომლით) ორგანიზაციებში.

ფრილანს საქმიანობასა და თვითდასაქმების პერსპექტივა

გრაფიკული დიზაინი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ხელმისაწვდომ პროფესიას ფრილანს პლატფორმებზე, როგორებიცაა Upwork, Freelancer.com და სხვა. ეს სფერო იძლევა ფართო გეოგრაფიულ და სამუშაო თავისუფლებას — დიზაინერებს შეუძლიათ იმუშაონ როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ პროექტებზე, დისტანციურად, საკუთარ პირობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტამბა და ბეჭდვის ბაზარი

ბეჭდვის სექტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ დინამიკასთან. ბეჭდური მასალის წარმოების ზრდა ხშირად შეესაბამება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას. მაგალითად, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში — განსაკუთრებით ჩინეთში — აღინიშნება ბეჭდური პროდუქციის ზრდის მაღალი ტემპი. ამასთან, სტამბური ინდუსტრია უმეტესწილად წარმოდგენილია მიკრო საწარმოებით.

დასაქმების პლატფორმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე/პოზიციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ძალიან ბევრი ახალი პროფესია გააჩინა: გრაფიკული დიზაინერი, ქოფირაითერი, Motion დიზაინერი და ა.შ. ციფრული ინდუსტრიის განვითარებამ ფოტოშოპის და სხვადასხვა ვიზუალური დამუშავების შესაძლებლობის მქონე პროგრამები მოიტანა, ყველა კომპანიამ დაიწყო მისი აქტიურად გამოყენება. ეს ნამდვილად არ ყოფილა უბრალოდ ტრენდი, რადგან ვერბალურის ნაცვლად ვიზუალურად სათქმელის გადმოცემა ძალიან მნიშვნელოვანია

შრომის ბაზრის სტრუქტურული ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოში მზარდია მოთხოვნა გრაფიკული დიზაინერების მიმართ პოლიგრაფიულ საწარმოებსა და გამომცემლობებში. დასაქმების პლატფორმებზე გამოქვეყნებული მონაცემები და დამსაქმებელთა მოთხოვნები ხაზს უსვამს ამ პროფესიაში კვალიფიციური კადრების დეფიციტს და, შესაბამისად, პროფესიული განათლების როლს მათ მომზადებაში.

გრაფიკული დიზაინერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, სარეკლამო ბუკლეტებისა და სხვა დასაბეჭდი პროდუქციის ვიზუალური გადაწყვეტის პროცესში. მათი ჩართულობა კრიტიკულია როგორც ბეჭდვამდელ, ისე ბეჭდვისა და ბეჭდვის შემდგომ ეტაპებზე. შედეგად, ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ კრეატიულ, არამედ ტექნოლოგიურად გაწვრთნილ პროფესიონალებს, რომელთაც გააჩნიათ კონკრეტულ პროექტებზე სამუშაო პროცესების მართვის უნარებიც.

საქართველოში დასაქმების ძირითადი წყარო კვლავ კერძო სექტორია, რაც დამატებით გამოკვეთავს იმ აუცილებლობას, რომ პროფესიული განათლების სისტემამ უზრუნველყოს მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული სწავლება და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობაში მყოფი კადრების მომზადება. კერძო სექტორის გაძლიერება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება პირდაპირ კავშირშია კვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობასთან, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებიც ციფრული ეკონომიკის განვითარებას ემსახურება.

პსდ-ს მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება

დაწესებულების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გრაფიკული და ტექნიკური დიზაინის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ პრიორიტეტს. კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემების მიხედვით, დამსაქმებლები განსაკუთრებით აფასებენ იმ კანდიდატებს, რომლებიც აერთიანებენ თეორიულ საფუძველს, სფეროსpecific ცოდნას



და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. აღნიშნული კომპეტენციები წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნებთან მჭიდრო შესაბამისობაში მყოფი, კონკურენტუნარიანი პროფესიონალის პროფილს.

გრაფიკულ და ტექნიკურ დიზაინერებზე მოთხოვნა იზრდება მრეწველობისა და მომსახურების სექტორებში. დამსაქმებელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სპეციალისტების დასაქმებას, რომლებსაც გააჩნიათ არა მხოლოდ კრეატიული აზროვნება და ესთეტიკური გემოვნება, არამედ ტექნიკური და ფუნქციური დიზაინის შექმნის უნარებიც.

ტექნიკური დიზაინერები მოთხოვნადია სხვადასხვა დარგში, მათ შორის მექანიკური ინჟინერიის, ელექტრონიკის, მშენებლობისა და წარმოების სფეროებში. მათ მიერ შესრულებული სამუშაო კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინოვაციური პროდუქტების განვითარებისთვის, ხარისხის სტანდარტების დაცვისთვის და საწარმოო პროცესების ეფექტიანობის გაზრდისთვის.

თანამედროვე შრომის ბაზარი განსაკუთრებულად აფასებს იმ დიზაინერებს, რომლებიც ფლობენ ცოდნას მასალების თვისებების, წარმოების ტექნოლოგიებისა და ხარჯთეფექტურობის პრინციპების შესახებ. მათი ჩართულობა პირდაპირ კავშირშია წარმოების პროცესების ოპტიმიზაციასთან, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდასთან და ბაზარზე პოზიციონირების გაუმჯობესებასთან.

ამგვარი პროფილის მქონე სპეციალისტების მომზადება პროფესიული განათლების დაწესებულებების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პრაქტიკულ წვრთნას, თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებულ სწავლებას და მჭიდრო კავშირს დამსაქმებლებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა რეალურ შრომით ბაზარზე ეფექტურ ინტეგრაციას.

კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებმა გამოკვეთა კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების უნარიანობა

წინამორბედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ დაწესებულებამ 2019 წლის შემოდგომაზე დაიწყო. დღეის მდგომარეობით, პროგრამა ოთხმა ნაკადმა დაასრულა. დაწესებულება ინარჩუნებს აქტიურ კავშირს კურსდამთავრებულებთან, რაც იძლევა შესაძლებლობას მუდმივად ადევნოს თვალი მათი პროფესიული განვითარების დინამიკას და მიზნობრივად უპასუხონ შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ კურსდამთავრებულთა დაახლოებით 85% დასაქმებულია პროფესიით ან თვითდასაქმებულია, რაც პროგრამის ეფექტიანობის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს.

დასაქმება ხორციელდება ძირითადად სტამბებში, სარეკლამო სააგენტოებსა და გამომცემლობებში, რაც პასუხობს იმ სექტორულ მოთხოვნებს, სადაც გრაფიკული დიზაინის როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია. კვალიფიციური გრაფიკული დიზაინერები დასაქმებულნი არიან როგორც ვიზუალური კომუნიკაციის პროდუქტების შექმნაში, ისე ბრენდირების, მარკეტინგისა და პროდუქტის მომხმარებელთან ეფექტური წარდგენის პროცესებში.

გარდა ამისა, შრომის ბაზრის განახლებული ტენდენციები აჩვენებს, რომ დიზაინერებზე მოთხოვნა მზარდია იმ ინდუსტრიებშიც, რომლებიც დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავეჯის, ავტოინდუსტრიისა და სხვა სამომხმარებლო პროდუქციის წარმოებასთან. კონკურენციის გაძლიერება ამ სექტორებში განაპირობებს ვიზუალური დიზაინის სტრატეგიულ მნიშვნელობას, რაც ზრდის მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ კადრებზე.

ამრიგად, პროფესიული განათლების პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ ეფექტიანად რეაგირებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და ქმნის რეალურ შესაძლებლობებს ბენეფიციართა დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის. ამის ფონზე, პროგრამის განვითარება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და თანამედროვე ტექნოლოგიებთან შესაბამისობაში მოყვანა მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური კარიერული წინსვლის, ისე ქვეყნის შრომითი ბაზრის გაძლიერების კონტექსტში.



პროგრამა ხორციელდება სხვა პსდ-ების მიერ, თუმცა თქვენი დაწესებულების პროგრამა იქნება გამორჩეული (რით იქნება თქვენი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამა განსხვავებული სხვა კოლეჯებისგან, რომლებიც იგივე პროგრამებს ახორციელებენ)

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელთა შორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან ერთად, მხოლოდ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა წარმოდგენილი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ დარგის განვითარების პერსპექტივებს და მასშტაბის გაზრდის საჭიროებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მრავალწლიანი აკადემიური და პროფესიული გამოცდილების მქონე წამყვანი საგანმანათლებლო სივრცეა, სადაც ჯერ კიდევ 1998 წლიდან ხორციელდებოდა საბაკალავრო პროგრამები, როგორცაა: „ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგია და კომპიუტერული გრაფიკული სისტემები“ და „ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგია და კომპიუტერული საგამომცემლო სისტემები“. ამ პროგრამებმა საფუძველი ჩაუყარა დიზაინისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებულად სწავლებას უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.

2019 წლიდან დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ — ამოქმედება, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების კომპონენტში წარმატებით ხორციელდება. ამგვარად, როგორც არსებული ისტორიული გამოცდილება, ისე პროფესიული სწავლების პრაქტიკა, ქმნის მყარ საფუძველს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისთვის და მისი განვითარების პოტენციალის რეალიზებისთვის.

დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

უნივერსიტეტს-ს ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (ადმინისტრაცია, შესაბამისი კვალიფიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები (15 განმახორციელებელი, მათ შორის 10 დარგობრივი მოდულებისათვის), რომლებიც უზრუნველყოფენ გრაფიკული დიზაინი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას.

დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრაფიკული დიზაინი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია A, C გარემო (სამხატვრო სახელოსნო აუდიტორია 704) და B გარემო (კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორია 556), თითოეული აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისათვის და მასწავლებლისათვის პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და გრაფიკული დიზაინის პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით.



ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მოსაზრებით პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „გრაფიკული დიზაინი“ განსაზღვრული დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, დაწესებულებისთვის პრიორიტეტია პროგრამა განხორციელდეს მაღალი ხარისხით, შესაბამისად პროგრამაზე დაშვების დამატებით პირობად გათვალისწინებულია ტესტირება. აპლიკანტთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე ტესტირების მიზანია დაადგინოს პირის კომპეტენცია და მზაობა პროგრამის სწავლის შედეგების დამღწევასთან დაკავშირებით. ჩარიცხვის პროცედურები დარეგულირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, გრაფიკული დიზაინი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით A, B, C გარემოების მოწყობის წესები, კონტიგენტის განსაზღვრისას სასწავლო ფართის, მატერიალური და ადამიანური რესურსის შესაძლებლობების გაანალიზების საჭიროებები, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამისთვის „გრაფიკული დიზაინი“ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა აქვს განსაზღვრული 30 პროფესიული სტუდენტით (2 ჯგუფი, თითო ჯგუფში 15-15 პროფესიული სტუდენტი).

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გრაფიკული დიზაინი განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არის დაწესებულების საკუთრებაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის სასწავლო რესურსებით (ელექტრონული/ბეჭდური/ვიდეოტუტორიალები). პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (რადგან დარგი მუდმივად განვითარებადია და საგანმანათლებლო სფეროში უახლესი სასწავლო რესურსები ჩნდება) აპირებენ პერიოდულად განაახლონ სასწავლო ელექტრონული რესურსები და ბმულები.



5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას გრაფიკული დიზაინი არ აქვს არჩევით მოდულები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გრაფიკული დიზაინი დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური სამსახურის დადგენილება №01-05-04/38, 18.03.2025წ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

„გრაფიკული დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს. პროგრამის სწავლის შედეგებია:

- გამოიყენოს გრაფიკული დიზაინის პრინციპები;
- იმუშაოს 2D დიზაინის პროგრამულ აპლიკაციებში;
- შეიმუშავოს ბეჭდური და ციფრული დიზაინები პროგრამაში;
- გააფორმოს დოკუმენტები ვიზუალური მასალით და მოამზადოს ბეჭდვისთვის;
- შექმნას ვიზუალური ბრენდინგი და იდენტობა;
- შეიმუშაოს (UI/UX) დიზაინი web და mobile აპლიკაციებისთვის;
- შეიმუშაოს 2D ანიმაციური ნამუშევრები პროგრამაში;
- გამოიყენოს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები დიზაინში (AI, AR, VR);
- იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია, ასევე, განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან - ISCED – 0211.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



8.3.საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **გრაფიკული დიზაინი** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის **გრაფიკული დიზაინი, სარეგისტრაციო ნომერი 02.1.1** - საფუძველზე და მომზადებულია “საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის” მიხედვით, პროცედურების სრული დაცვით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროგრამის სრული პაკეტის შესაწავლის შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - საქართველოს ტექნიკურის უნივერსიტეტის მისია <https://gtu.ge/GTU/About/mission.php>
- სსიპ - საქართველოს ტექნიკურის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის გეგმა 2022-2028 წწ <https://gtu.ge/GTU/About/documents.php>
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულება <http://gtu.ge/Stmm/Pdf/FAKULTETIS%20DEBULEBA+.pdf>;
- სტუ-ს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები <https://gtu.ge/stmm/about/faculty/goals-objectives.php>
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი - აკადემიური საბჭოს დადგენილებები;
- დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **გრაფიკული დიზაინი** (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს;
- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის

მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსში (ქ. თბილისი 0160, მ. კოსტავას ქ. N68). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები განხორციელდება A, B და C გარემოში, რომელიც მოწყობილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით.

მოწყობილია პროფესიული მოდულების განსახორციელებლად B გარემო 15 პროფესიული სტუდენტის კომპიუტერთ, 1 პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპიუტერთ, დემონსტრირების ციფრული საშუალებებით, ფერადი და შავ-თეთრი საბეჭდი მოწყობილობებით, პროფესიული სტუდენტების სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდით და სკამით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „გრაფიკული დიზაინი“ ზოგადი და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარით დაკომპლექტებულია A და C გარემო, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო მაგიდები, სკამები, დაფა, სახატავი სადგამები (მოლბერტები), სამხატვრო სკამი (ტუმბო), სახატავი დაფები, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მაგიდა და სკამი, კომპიუტერი, პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება.



სასწავლო პროცესი სრულად განხორციელდება დაწესებულებაში, რეალურ სამუშაო ადგილთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში. ამიტომ პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არსებობს. პროფესიული სტუდენტები პროფესიას სწავლობენ ზუსტად ისე, როგორ დავალებასაც მიიღებენ დასაქმების ადგილზე. ამის შესაძლებლობას გარემოს გარდა, იძლევა მაღალი კომპეტენციის დარგის სპეციალისტების გამოცდილება და სწავლების პროცესის დაგეგმვის მიდგომები.

აღნიშნული სასწავლო გარემოები განკუთვნილია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის 15-15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის. ორ ცვლაში სულ 30 პროფესიული სტუდენტი.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

საგანმანათლებლო პროგრამით „გრაფიკული დიზაინი“ განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 დარგის წარმომადგენელი; დაწესებულებას თითოეულ მოდულზე განსაზღვრული აქვს მინიმუმ 2 და მეტი განმახორციელებელი. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირად საქმეები. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის მეთოდოლოგია/ტაბელი, რომლის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემების შედგენა, რათა პერსონალის დატვირთვა არ ასცდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების

გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულები არიან დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვით, პირად საქმეში განთავსებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პერსონალთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალს გავლილი აქვთ არაერთი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. მათ შორის: სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება; „კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროგრამაში“ და ა.შ. განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ აღნიშნული პერსონალი წინამორბედი პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ფარგლებშიც თანამშრომლობდა დაწესებულებასთან. ექსპერტებთან გასაუბრებისას დარგის მოდულების განმახორციელებლებმა წარმოადგინეს საკუთარი ნამუშევრების პორტფოლიო გრაფიკული დიზაინის სფეროში, რომლითაც უფრო გამოიკვეთა მათი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი.



დადებითი პრაქტიკის ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტში დაგეგმილია სწავლების პროცესის განხორციელება საერთაშორისო პარტნიორობით, როგორც პირისპირ, ისე დისტანციური ფორმატით. აღნიშნული ინიციატივა ადასტურებს უნივერსიტეტის მზადყოფნას ინოვაციური მიდგომების დანერგვისა და სწავლების მოქნილი ფორმების შეთავაზებისთვის, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული და შრომის ბაზრის დინამიკურ მოთხოვნებზე რეაგირებადი მიდგომა.

შესაბამისად პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულია პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი და შრომითი გამოცდილება. იგი უკვე იყო 2 პროფესიული პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ და „ბეჭდვითი მედია ტექნოლოგიების“ ხელმძღვანელი. სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი: აქტიურად მონაწილეობს როგორც სტანდარტების განახლებაში, ასევე პროგრამის შემუშავებაში, საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის მოდიფიცირებას; ახდენს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას; ხელმძღვანელობს პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართვას, პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ და ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასების პროცესის წარმართვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობას; ვალდებულია ითანამშრომლოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით; ვალდებულია მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პროფესიულ სტუდენტებთან, მიაწოდოს მათ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ; ვალდებულია ჩაერთოს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში და მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით, პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად არის 10 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირიც. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, ჩართული იყო პროგრამის დაგეგმვა-ადაპტირების პროცესებში და გამოხატავს მზაობას აქტიურად ჩაერთოს პროგრამის განხორციელების და განვითარების პროცესებში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „გრაფიკული დიზაინი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ბეჭდური და ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ცენტრალურ, ასევე სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის სამკითხველოში. სახელმძღვანელოები დამუშავებულია სათანადო წესით, მოდულებში მითითებულია მათი საბიბლიოთეკო კეტერები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს სწავლის დაწყების დროს გააცნობს თუ როგორ შეუძლიათ აბონენტად დარეგისტრირება, რომ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით. აგრეთვე სასწავლო ელექტრონული რესურსები: სახელმძღვანელოები, ვიდეო გაკვეთილები და ბმულები ჩაწერილია სტუდენტების კომპიუტერებშიც.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებიც მეთოდოლოგიის და სსსმ პირების საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ წინამორბედი პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ფარგლებში ყავდათ სსსმ პირი, რომელსაც დასჭირდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თუმცა სასწავლო რესურსების ნაწილში ადაპტირების საჭიროება არ დამდგარა.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (10 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გაანგარიშები წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;



- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

სტუ-ის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცესი არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ძირითადი საყრდენი. იგი წარმოადგენს უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს და ხელს უწყობს დაწესებულების ანგარიშვალდებულების ზრდას, ქმნის პირობებს ისეთი ხარისხის კულტურის განვითარებისათვის, რომლის პირობებშიც ყველა შიდა დაინტერესებული მხარე პასუხისმგებელია ხარისხზე და დაწესებულების ყველა დონეზე ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

სტუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიმუშავებს მექანიზმებს (სხვადასხვა კითხვარების ფორმები, ჩატარების პროცედურები და ვადები) .

პროგრამის ეფექტიანობისა და სტუდენტური კმაყოფილების დადგენის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ერთობლივად წარადგინეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. კვლევა მოიცავდა როგორც მიმდინარე პროფესიულ სტუდენტთა, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პირებისა და კურსდამთავრებულთა შეფასებებს.



გამოკითხვა მოიცავდა რესპონდენტების სრული რაოდენობის 70%-ს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მონაცემების სანდოობას და წარმოსახავს რეალურ სურათს პროგრამის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. კვლევის შედეგად მიღებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ პროგრამისადმი კმაყოფილების მაჩვენებელი 85%-ს არ ჩამოსცდა არცერთ სამიზნე ჯგუფში, რაც მეტყველებს როგორც პროგრამის შინაარსობრივ ხარისხზე, ისე სწავლების პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების ეფექტიანობაზე.

აღნიშნული შედეგები წარმოადგენს მკაფიო ინდიკატორს იმისა, რომ პროგრამა პასუხობს ბენეფიციართა საჭიროებებს, მათ მოლოდინებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამასთან, მიღებული ინფორმაცია შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ, უკუკავშირის სისტემატური ანალიზისა და დადასტურებული მიგნებების საფუძველზე.

მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პროფესიული განათლების სტანდარტის განახლების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები. აღნიშნული ჩართულობა უზრუნველყოფდა დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას და მისი ასახვის შესაძლებლობას სტანდარტის ახალ რედაქციაში, რაც თავის მხრივ, განაპირობა განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უფრო მეტად შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

განახლებული პროგრამის სტრუქტურა და შინაარსობრივი კომპონენტები დაეყრდნო ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამის რევიზია განხორციელდა არა ფორმალურად, არამედ ეყრდნობოდა მტკიცებულებებსა და რეალურ საჭიროებებს.

აღნიშნული პროცესი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემური მიდგომის მაგალითს, რომელიც ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას, შრომის ბაზრის ანალიზი, უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეებისაგან, შესაბამისად პროგრამის შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირის დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას.

2. კსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს

საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სტუ-ის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, წესების საფუძველზე პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. სტუ გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „გრაფიკული დიზაინი“ ცვლილებები (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი(აკადემიური საბჭოს დადგენილება);
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მას შემდეგ, რაც დგინდება სწავლის დაწყების თარიღი, სასწავლო გეგმაში ხორციელდება თარიღების დაზუსტება(მოდულების დაწყება-დასრულების თარიღები), რომელიც ეგზავნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების ლოგიკური დაშვების წინაპირობები.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტუ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პროგრამის ხელმძღვანელი ხვდება სტუდენტებს, აწვდის მათ ინფორმაციას პროგრამის და სასწავლო განრიგის შესახებ. დეტალები გაწერილია "სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში".

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, დაწესებულებას ასევე შესყიდული აქვს პროგრამის განხორციელებისათვის სპეციფიკური ელექტრონული პროგრამა, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, რომლის მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება აზუსტებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს (დამოწმდება ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით). ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ წერილობით ინფორმაციას ცენტრს წარუდგენს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

დაწესებულებაში დანერგული პრაქტიკის გადამოწმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი წარმოადგენდა წინამორბედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ — განხორციელების პროცესში სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების შემთხვევის ანალიზი. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები გაეცნენ აღნიშნულ ინდივიდუალურ გეგმას, კერძოდ კონკრეტული მოდულების სწავლის შედეგების გამარტივებას და მის მორგება სტუდენტის უნარებსა და საჭიროებებზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობისას და სტატუსადგენილი პროფესიული სტუდენტისთვის. ასეთ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს ფაკულტეტის დეკანი, პროფესიული სტუდენტის სტატუსადგენილი ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტის შემუშავებული გეგმა წარედგინება ფაკულტეტის დეკანს (დამოწმდება ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით). შესაბამისად პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის დებულება, დოკუმენტების მიზანია შექმნან მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს. დებულების თანახმად შრომის უსაფრთხოების განყოფილების ძირითადი ფუნქციებია: შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა; შრომის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და მათთვის შესაბამისი ქცევის სტანდარტების დადგენა; შრომის უსაფრთხოების მიზნით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ამ ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა და სხვა. „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაწესებულებაში არ საჭიროებს განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმებს. გასაუბრების და წინამდებარე დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუსავების წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების საკითხები. წესი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, მტკიცებულებების მოპოვება- შენახვის წესის შესახებ ინფორმაციებს, ამავე რეგულაციაში დაწესებულებას ასახული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და ინსტრუქციები შუალედური შეფასების შესახებ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ჩანაწერებს საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების და ჩატარების შესახებ, რომლის დეტალური ინსტრუქციები შემუშავდება და დამტკიცდება დამატებითი რეგულაციების სახით.

დაწესებულებამ წარადგინა წინამორბედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის ფორმატები, დავალებები და შესაბამისი ინსტრუქციები, რაც წარმოაჩენს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას და სტანდარტებთან შესაბამისობას. დამატებით, წარდგენილი იქნა შეფასების ვალიდაციის შევსებული ფორმები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, დოკუმენტების ანალიზის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუების შედეგების შეჯამებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციის, პროცესის ვერიფიკაციისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით. განხორციელდა ინტერვიუება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან რომელმაც წარმოადგინა წინამორბედი პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ ფარგლებში განხორციელებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მტკიცებულებები, ვერიფიკატორთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფის საჭიროებას, აგრეთვე სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების ტექნიკურ და დოკუმენტურ გამართულობას. შეფასების ზოგადი სტრუქტურა შესაბამისობაში იყო პროგრამის მიზნებთან და მოდულების სწავლების შედეგებთან, თუმცა საჭირო გახდა ინსტრუმენტების ფორმატის დახვეწა, დიფერენცირება და გარკვეული ტექნიკური დეტალების დაზუსტება. დაწესებულებამ აღნიშნულ რეკომენდაციებზე რეაგირება მოახდინა და განახორციელა მიზნობრივი ცვლილებები, როგორც შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ნაწილში, ისე მტკიცებულებების ფორმალურ-დოკუმენტური გაფორმების კუთხით. აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის ნაწილს.

დოკუმენტის ანალიზის და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;



3. კსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

"საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის"-ის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად მიიღებს უკუკავშირს, რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან ერთად პერიოდულად განახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა-გაუმჯობესება და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

02.07.2025წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: